№ 279
შაბათი, 23 დეკემბერი, 1900 წ.

გაზეთის ფასი:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 279
შაბათი, 23 დეკემბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ამ ნომერში ექვსი გვერდია

დღეს, 23 დეკემბერს, დილის 10 საათზედ,
**შტაბს-კაპიტანის ნიკოლოოზ იოსების ძის მამაცაშვილის**
გარდაცვალების მეორმოცე დღეს,
გარდახდილი იქმნება წირვა და პანაშვიდი კუკიის ალექსანდრე ნეველის ეკკლესიაში, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის დანი და ძმანი. (1—272—1)

## ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 28 დეკემბერს,
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ქ-ნ მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა და ბ-ნ ვ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით
ვ. გამყრელიძის და გ. კან ელაკის საბენეფისოდ
წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა
## პირინეის მგელი
ისტორ. დრამა 5 მოქმედ.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვ-აბაშიძისა, ტასო აბაშიძე, კარგარეთელი, ნებიერიძისა, მდივანი, გარელი; ბ-ნნი ალექსი მესხიშვილი, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ურუშაძე, გვარამაძე, ავალიანი, მირიანოვი, იმედაშვილი, იორდანოვი და სხ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზედ.
რეჟისორი ვ. გუნია

## მაღაზია
ქართველთა საალებ მიმცემო ამხანაგობისა
## „შუამავალი“
**გადატანილ იქმნა** გოლოვინის პროსპექტზედ ოქოევის შენობაში (ცირკის გვერდზედ).
**გამგეობა „შუამავალისა“** აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მაღაზია **შეახლებულ და შევსებულ არის** ყოველგვარის საუკეთესო საქონლითა, როგორც საბაკალეულო-საგასტრონომეულო, აგრეთვე სხვა-და-სხვა სასმელებითა, სანოვაგითა და ხილეულობითა.
**ფასი ყველაფერზედ ზომიერი და გადაჭრილია.**
**გამგეობას სრული იმედი აქვს საზოგადოების ყურადღებისა და თანაგრძნობისა.** (5—270—2)

## „ივერია“
გამოვა 1901 წელსაც
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქცია,
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა და
ბაქოში, ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ქალანთაროვის ქარვასლის პირ და-პირ.
ტელეფონი № 227.
სატელეგრაფო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.
შეღავათი წლიურ ხელის-მომწერთათვის: ვინც გაზეთს ამ თავით მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელ-მოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამგვარად: ხელის მოწერის დროს 3 მან., პირველ მარტს—2 მან., პირველ მაისს—3 მან. და პირველ სექტემბერს—2 მან. სოფლის მასწავლებელთ გაზეთი წელიწადში 8 მანეთად დაეთმობათ, ნახევარის წლით—4 მან.

## პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი
**ყ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
**ქ. ი. მძელიშვილი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.
საღამოობით:
**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.
**მ. ა. თარხანოვი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.
**გ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 ს.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
**ო. ტ. არშანიტაკი**—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лечебница—д-ра **Навасардіана.**
Тифлисъ, противъ памятн. Вороцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა
დილით:
**ვ. ი. ჟიჟინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.
**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.
**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.
**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.
**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.
**ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე**—ბავშვებისა 11—12.
**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.
**ვ. ლ. მარკევიჩი,** საქირურგო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.
**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.
საღამოთი:
**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.
ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## სამკურნალო კაბინეთი
დოქტორის
## ი. იაკ. გოკიელისა,
იღებს **ვენერიულ** (სიფილისი), **საშარდე, კანის და შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს.** წამლობა ნერვების სისუსტისა ელექტრონით.
ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 საათამდე.
მიხეილის და ნემეცთა ქუჩების კუთხე, № 81, სლივიცკის სახლი. შესავალი ნემეცთა ქუჩიდგან აქვს.
(100—256—8)

# ფელეტონი

**ჰენრიკ სენკევიჩი**

პოლონელი მწერალი

9 დეკემბერს ვარშავამ და იმასთან ერთად მთელმა პოლონეთმა დიდის ამბით იდღესასწაულა საუკეთესო მამულიშვილისა და საყვარელ მწერლის—ჰენრიკ სენკევიჩის სალიტერატურო ასპარეზზედ მოღვაწეობის 25 წლის იუბილეი.

პოლონელთა დიდებასა და სახელს—სენკევიჩს დღეს მთელი განათლებული ქვეყანა იცნობს; მსოფლიო სალიტერატურო მოედანზედ ორი-სამი ცოცხალი მწერალი ძლივს მოიპოვება დღეს, რომელთაც იმდენი თაყვანის-მცემელი და მკითხველი ჰყავდეთ, რამდენიც ამ მწერალსა ჰყავს. სენკევიჩის სახელი ისევეა განთქმული და ცნობილი ამერიკასა, ინგლისსა, საფრანგეთსა, იტალიასა და რუსეთში, როგორც თვით პოლონეთში და პოლონელთა შორის. იმისი რომანები გადათარგმნილია ინგლისურსა, ნემეცურსა, ფრანგულსა, რუსულსა, იტალიანურსა, ესპანურსა, შვედურსა, ფინურსა, ნორვეგიულსა და მრავალ სხვა ენაზედ. საოცარი და გასაკვირველია, რა სისწრაფით მოეფინენ სენკევიჩის ნაწარმოებნი დედამიწის ყოველს ადგილსა და კუთხეს. ვერ იპოვნით დღეს ისეთ ცოტად თუ ბევრად კულტურულ ერს, რომლის შვილთაც საკუთარს ენაზედ სენკევიჩის ორი ან სამი თხზულება მაინც არ წაეკითხოთ. ამასთან ყველგან არა ჩვეულებრივის აღტაცებით ეგებებოდნენ და ეგებებიან ამ თხზულებებს. საფრანგეთში მიმდინარე წლის ზაფხულს პირველად დაიბეჭდა სენკევიჩის ერთი საუკეთესო რომანი „Quo vadis?“. რომანს ისეთი გასავალი ჰქონდა, როგორიც თვით ზოლას არც ერთ თხზულებას არა ჰქონია: ორის თვის განმავლობაში ეს რომანი 120-ჯერ იქმნა გამოცემული.

განსაკუთრებით ინგლისი და ამერიკა დიდი თაყვანის მცემელი სენკევიჩისა. წარსულ წელს ამერიკაში დასახელებული რომანი ყველაზედ უფრო გავრცელებული წიგნი იყო: 800,000 ცალი გასაღდა ამ წიგნისა. ინგლისში მრავალი გამოცემაა სენკევიჩის რომანებისა, ამასთან მეტად ძვირფასი გამოცემა, საუცხოვო სურათებით შემკული. იტალიანელ გამომცემელთაგან სენკევიჩმა ამ ორის წლის წინად საჩუქრად მიიღო სამაგალითო ქანდაკება, რომელიც ერთ უძველეს, უშესანიშნავეს ქანდაკების პირს შეადგენს. ასევე დიდი სახელი აქვს გავარდნილი სენკევიჩს და ასევე გავრცელებული იმისი თხზულებანი ბალკანეთის სლავიანთა შორის, ესპანიასა, სკანდინავიასა და რუსეთში. 1893 წელს რომანი „Quo vadis?“ და ერთი სხვა მოთხრობა სომხურს ენაზედ გადათარგმნეს. ქართულს ენაზედ სენკევიჩისა გადმოთარგმნილია „ცეცხლითა და მახვილით“, „იანკო მემუსიკე“, „ოლიმპზედ“, „მივყვეთ მას“ და, რამდენადაც გვახსოვს, ორი-სამი სხვა წვრილი მოთხრობა.

საკვირველი არ არის, რომ სენკევიჩმა ასე გაითქვა სახელი და იმისმა ნიჭმა ამდენი თაყვანისმცემელი მოიპოვა: სენკევიჩი პირველ-ხარისხოვანი მწერალია, ჰენიოსი, რომლისმა დიადმა ნიჭმაც სამსოფლიო ტიპები დაგვიხატა, ღრმად გადაგვიშალა კაცის გული და სული და თავისის მადლიანის კალმით ისეთი საიდუმლოებანი დაგვანახვა ადამიანის ბუნებისა, რომელნიც მარტო პოლონელთა ეროვნულ თვისებას არ შეადგენენ; იმისი თხზულებანი, იქ დახატული ცხოვრება ყველას გულს ერთნაირადა ჰხვდება და ერთნაირად უჩენს საზრდოს როგორც პოლონელის, ისე ინგლისელის, ფრანგის, ქართველის გონებას.

ჰენრიკ სენკევიჩი 1846 წელს დაიბადა. სწავლა-განათლება ვარშავაში მიიღო. იქ ჯერ გიმნაზიაში სწავლობდა, მერე „მთავარ სკოლაში“ გადავიდა, რომელსაც შემდეგ ვარშავის საიმპერატორო უნივერსიტეტი ეწოდა. ლიტერატურული მოღვაწეობა სენკევიჩმა ძალიან ადრე დაიწყო; ჯერ ისევ სტუდენტად იყო, როდესაც პირველი ნაწერები დასტამბა. ბელეტრისტიკას სენკევიჩმა ერთბაშად არ მიჰყო ხელი; მომავალი ავტორი „Quo vadis?“ და „პოლონეცკების ოჯახისა“ პირველ ხანს რეცენზიებსა სწერდა, ადგენდა პატარ-პატარა კრიტიკულ წერილებს, სთარგმნიდა უცხო ენებიდგან. პირველი მოთხრობა 1870 წელს დასწერა კიევის სტუდენტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ამბავი

⁂ პროფესორმა ალ. ხახანაშვილმა დაბეჭდა რუსულს ენაზედ „ეკატერინა იმპერატრიცას ტახტზედ ასვლა", ძველის ქართულის ხელთნაწერიდგან ნათარგმნი, რომელიც იმპერატრიცის თანამედროვე ქართველს ეპისკოპოსს დაუწერია.

⁂ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ განზრახული კონცერტი გადაიდო თებერვლისათვის იმ მიზეზით, რომ საარტისტო საზოგადოების ახალი თეატრი, სადაც კონცერტის მოთავეთ განიზრახეს კონცერტის გამართვა, ჯერ არ არის დასრულებული. თეატრის დარბაზი კონცერტების გასამართავად მზად იქმნება საყველიეროდ, ასე რომ მოსახერხებელი იქნება გამართოს საზოგადოებამ კონცერტი ოც თებერვლისთვის როგორც განზრახვა აქვთ მოთავეთ, კონცერტის პროგრამაც წელს მეტად საინტერესო იქმნება.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულებით, ტფილისის გუბერნატორს დაუვალებია მაზრის უფროსებისათვის, რომ იმ ცოფით ავადმყოფთ, რომელთაც პასტერის სადგურზედ ჰგზავნით, განსაკურნებლად ფული მიეცეთ ხოლმე.

⁂ ნაძალადევში ქალაქის მიწების იჯარით გასაცემად ქალაქის გამგეობას დაუდგენია: შეადგინოს ამ უბნის ქალაქის მიწების ახალი გეგმა, მინდოს გამგეობის წევრს თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს, გამგეობაში მოხსენება შეიტანოს ქალაქის ტეხნიკთა და მიწის მზომელთა შტატის გადიდებისა და ამ საქმისთვის საჭირო ფულის გადადების შესახებ; მიანდოს მიწის მზომელის თანაშემწეს ნაცვლიშვილს, აწ არსებულ გეგმაში შეიტანოს აგრეთვე რკინის გზის ლიანდაგის ახლო მდებარე მიწები, აღნიშნოს ამ გეგმაში იჯარით გაცემული მიწები, მოიჯარადრეთა გვარები და იჯარით გაცემის დრო; ახალი გეგმის შედგენამდის შეაჩეროს თავისუფალ მიწების იჯარით გაცემა; ზოგიერთ შემთხვევაში-კი გამგეობის წევრს არღუთინსკი-დოლგორუკოვს უფლება მიუცეს ამ მიწების იჯარით გაცემის შესახებ მოხსენება წარუდგინოს ხოლმე გამგეობას; იმათ, ვინც გამგეობის ნება დაურთველად ქალაქის მიწები მიისაკუთრეს და პირობებით-კი ვერ შეეკვრენ გამგეობას, მოსთხოვონ დაუყოვნებლივ საიჯარო პირობების დადება ქალაქთან, ხოლო თუ პირობაზედ უარი სთქვეს, უჩივლონ პირობის დადებამდის, გაზომონ და გაიგონ რამდენი მიწაა ნება-დაურთველად მისაკუთრებული და რა და რა საზღვრებში. ამ დადგენილების შესასრულებლად გამგეობას ამოურჩევია კომისია ქალაქის თვით-მმართველობის მოსამსახურეთაგან თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის თავმჯდომარეობით.

⁂ 29 დეკემბერს, საღამოს 8 საათზედ, ტფილისის გუბერნატორის ი. ნ. სვეჩინის ბინაზედ სხდომა ექნება იმ კომიტეტს, რომელსაც მინდობილი აქვს ახალ-ქალაქის მაზრის მიწის ძვრისაგან დაზარალებულ მცხოვრებლებთათვის შემწეობის აღმოჩენა.

⁂ 21 დეკემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატას განუხილავს საქმე თავ. კონსტ. დადეშქელიანისა და თავ. ნიკოლოზ ფალავასი, რომელთაც პოლიციის ბოქაულის შეურაცხჰყოფა ჰბრალდებოდათ. სამოსამართლო პალატას დაუმტკიცებია ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც თავ. კ. დადეშქელიანსა და თავ. ნ. ფალავას გარდაუწყვიტა ყოველისავე განსაკუთრებითი უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და ტომსკის გუბერნიაში გარდასახლება.

⁂ ხუთშაბათს, 21 დეკემბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობაში სხდომა ჰქონდა ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიას სხვა-და-სხვა საქმეების განსახილველად. კომისიამ პირველად განიხილა მოხსენება ტფილისში სამხატვრო სასწავლებლის დაარსების შესახებ, დაადგინა, დაარსდეს ეს სასწავლებელი, ხოლო შესანახად ყოველ წლობით გადაიდვას 1000 მან. ამავე სხდომაზედ კომისიამ განიხილა მცირე კომისიის მოხსენება ალექსანდრეს ბაღში ალექსანდრე ნეველის სახელობის სამხედრო ეკკლესიის გვერდზედ ქალაქის შენობაში პუშკინის სახელობაზედ ქალაქის სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების შესახებ. კომისიამ დაადგინა სთხოვოს ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილებას შეიმუშავოს პროექტი აღნიშნულ შენობაზედ მეორე სართულის დადგმის შესახებ. ეს შენობა უნდა მოეწყოს განზრახულ სამკითხველოსათვის.

⁂ ტფილისის სამოსამართლო პალატის მესამე სამოქალაქო დეპარტამენტმა 3 დეკემბერს განიხილა ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოსა და ქუთაისის ქალაქის გამგეობის შორის ატეხილი დავა, რომლითაც რკინის გზის სამმართველო უჩიოდა ქუთაისის ქალაქის გამგეობას 10,820 მან. 64 კაპ. ეს ფული მიუცია რკინის გზის სამმართველოს იმათთვის, რომელთაც დაუთმეს ტყვიბულის რკინის გზის ლიანდაგისათვის ადგილები სალორიაზედ, ხოლო რადგანაც ქუთაისის ქალაქის საბჭო დაჰპირებია რკინის გზის სამმართველოს, თუ ტყვიბულის შტო გაყვანილ იქნება ქალაქს ახლო, ქალაქი გაისტუმრებს იმ ხარჯს, რაც ადგილების შეძენას დასჭირდებაო, და შემდეგ კი ეს პირობა დაურღვევია, და შეპირებული ფული არ მიუცია, რკინის გზის სამმართველოს საჩივარი აღუძრავს პირველად ქუთაისის ოლქის სასამართლოში და შემდეგ, როდესაც სასამართლოს უსაფუძვლოდ უცვნია ეს დავა და უარი გამოუცხადებია სამმართველოსათვის, ტფილისის სამოსამართლო პალატაში გადაუტანია საქმე. გუშინ-წინ, 21 დეკემბერს, პალატამ, განიხილა რა საქმე, გააუქმა ოლქის სასამართლოს დადგენილება და დაადგინა, გარდახდეს ქუთაისის ქალაქის გამგეობას რკინის გზის სამმართველოს სასარგებლოდ 7,898 მან. 29 კაპ., სარგებლით 1888 წლის 1 აპრილიდგან და აგრეთვე ქუთაისის ოლქის სასამართლოში და სამოსამართლო პალატაში საქმის წარმოების ხარჯი.

⁂ მკითხველებს ეხსომებათ ტფილისის ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ტფილისის ვაჭრის არაფელოვის მეუღლეს სოფიო არაფელოვისას გარდაწყვეტილი ჰქონდა ციხეში დაპატიმრება 7 დღით იმის გამო, რომ მან ტფილისის სამრევლო სკოლის გალობის მასწავლებელს სერგეი წერეთელს პალტოს მოპარვა დასწამა და მით შეურაცხება მიაყენა. არაფელოვის ვექილმა ბ-ნმა ტურკევიჩმა ოლქის სასამართლოს განაჩენი განასაჩივრა სამოსამართლო პალატაში, რომელმაც გუშინ, 22, დეკემბერს, განიხილა რა ეს საქმე, უყურადღებოდ დასტოვა ბრალდებულის ვექილის შუამდგომლობა და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

⁂ რკინის გზის ბაკურიანის შტოზედ მუშა მატარებელთა მიმოსვლა უკვე დაწყებულა ცაგვერის სადგურამდის. ხოლო მთელს ამ შტოზედ მატარებელთა მიმოსვლა დაიწყობა მომავალ წლის შემოდგომაზედ.

⁂ როგორც გაზ. „მშაკს" სწერენ წალკიდგან, ამ სოფლის ახლო მდებარე მთებში შავი ქვა და სხვა მადნები აღმოჩენილა. ამ მოკლე ხანში შეუდგებიან ამ მადნების გამოკვლევას.

⁂ როგორც შევიტყეთ, ჭიათურის სამრეწველო ბოქაულის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად ქუთაისის საგუბერნიო გამგეობას დაუნიშნავს სენაკის მაზრის სამმართველოს მდივანი ბ-ნი დემჩინსკი.

⁂ განსაკუთრებულ კომისიას, გამგეობის წევრის თავ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით დაუთვალიერებია ქალაქის საყასბოში ახლად გამართული ხორცის დასაწვავი ღუმელები და მოწყობილობა. მხოლოდ დაუდგენია, რომ სანამ საბოლოოდ ჩაიბარებდეს ღუმელებს მოიჯარადრესაგან, ერთის კვირის განმავლობაში სცადოს და სწვას ამ ღუმელებში საქონლის ხორცი.

⁂ ქალაქის გამგეობას განუზრახავს მომავალ დღესასწაულებში ქალაქის სასწავლებლის მოსწავლეებისათვის სახაზინო თეატრში დილის წარმოდგენა გამართოს, ხოლო თვით სასწავლებელში — შობის ხე.

⁂ ტფილისის საგუბერნიო მმართველობის საამშენებლო განყოფილების მუშაობის მეთვალ-ყურე ინჟინერი ანტონოვი გაგზავნილ იქმნება ს. ცხინვალში დიდ ლიახვის კაფუჭებულ ხიდის დასათვალიერებლად. („ახ. მიმ.")

⁂ ამ დღეებში დავით ისაკის ძე ვარდიაშვილმა 400 ცალზედ მეტი ძველი ქართული ფული გადასცა „წ.-კ. საზოგადოების" მუზეუმს.

⁂ სოფ. მოლითი (შორაპნის მაზრა). აქაური გლეხი გიო ცუცქირიძე 14 დეკემბერს შეშისათვის წავიდა მახლობელს ტყეში. აქ, ბუჩქებს შუა, მან შენიშნა რაღაც მძინარე უცნაური ჭრელი ნადირი. გიო საჩქაროდ სოფელში დაბრუნდა და 11 შეიარაღებული მეზობელი წაიყვანა. ამათს ფეხის ხმაზე ნადირმა თვალები აჭყიტა და, ის-ის იყო, ამ ხალხს უნდა სცემოდა, რომ ამ დროს გამბედავმა გლეხმა სპირიდონ ცერცვაძემ შიგ თვალებში თოფი ესროლა. ნადირი, რომელიც ვეფხი გამოდგა, დაბრმავებული და ტვინ დარღვეული რამდენჯერმე ჰაერში შეხტა, შეტრიალდა და თავისის მაგარის კუდით იქაურობას მტვერს ადენდა, მაგრამ რადგანაც ვერარავის ჰხედავდა, გლეხებმა ადვილად მოჰკლეს იგი. ამ ბოლოს დროს რამდენჯერმე გამოჩნდა აქეთ მხარეს ვეფხვი, თუმცა ტყეები დღითი დღე ჩანაგდება.

⁂ გორის საზოგადოება (ქუთ. მაზრა) ჩვენს საზოგადოებაში მამასახლისის არჩევა გათავდა, საზოგადოებამ მამასახლისად ს. ბზვანში მცხოვრები მ. ძიგრაშვილი აირჩია, რომელიც დღემდე ამავე საზოგადოებაში მწერლად იყო. ძიგრაშვილი შინაურულად განათლებული ახალგაზრდა კაცია და იმედი უნდა ვიქონიოთ ძველ მამასახლისებზედ მეტს ღვაწლს დასდებს. სამინისტრო

---

თა ცხოვრებიდგან. შემდეგ, 1876 წელს, სენკევიჩი ხანგრძლივ მოგზაურობას შეუდგა, იყო გერმანიასა, საფრანგეთსა და ინგლისში, მერე ამერიკაში გადავიდა, საიდგანაც ჰგზავნიდა შესანიშნავ „წერილებს ამერიკიდგან"; იქვე შეადგინა პირველი პატარა მოთხრობანი: „ესკიზები ნახშირით", „განია", „ლუკმა პურისათვის" და სხვანი. ძლიერის ნიჭის ბეჭედი ამ პირველ მოთხრობებსავე აზის. სენკევიჩი იშვიათის მხატვრობით აღგვიწერს ბატონ-ყმობიდგან ახლად განთავისუფლებულ გლეხთა ცხოვრებას: სოფლის მცხოვრებთა უილაჯობასა და უმეცრებას, მაშინდელ ინტელიგენციის არარაობას, სისუსტეს და ცხოვრებისაგან მოწყვეტილობასა და, დასასრულ, ცხვრის ტყავებში გახვეულ მტაცებელთა და სხვის ქონების დამსაკუთრებელთა თავგასულობას, უზომოდ გაბატონებას. სავსებით გადაგვიშალა სენკევიჩმა ამ პირველ ნაწერებში უმწეო გლეხის მარტივი სული და გული, გადმოგვცა იმისი დარდი, სიხარული, ფიქრი და ზრუნვა. ერთ ყალბს სურათს ვერა ნახავთ ამ სოფლის ცხოვრებიდგან აღებულ მოთხრობებში, ვერც გამოგონილს მოქმედს პირს ვერ შეჰხვდებით იქ: სენკევიჩმა ნამდვილი სოფლის ცხოვრება გარდაიტანა ქაღალდზედ და იშვიათის მხატვრულის სურათებით შეაზავა ეს ცხოვრება.

დიდის მოთხრობებისა და რომანების წერას სენკევიჩი 1880 წლიდგან შეუდგა. ამ წელს დაიბეჭდა პირველი ისტორიული რომანი „ნიკოლა ტატარსკი", რომელსაც მალე სხვებიც მოჰყვა: „ცეცხლითა და მახვილით" (1884 წელს), „წარღვნა", „პან ვოლოდიევსკი", ხოლო შემდეგ „ბეზ დოგმატუ", „პოლონეცკების ოჯახი", „Quo vadis?" და სხვანი, რომელთაც სენკევიჩი მთელ განათლებულ ქვეყანას გააცნეს და ავტორს მსოფლიო მწერლის სახელი მოუპოვეს. დიდი რომანები სენკევიჩისა ორ ჯგუფად გაიყოფება: ერთს ისტორიული რომანები შეადგენენ, მეორეს ფსიხოლოგიური და საზოგადოებრივი, ის რომანები, რომლებშიაც დღევანდელი ცხოვრებაა აწერილი. ისტორიული რომანებიც ორად გაიყოფება; პირველს ის რომანები შეადგენენ, რომლებშიაც პოლონელთა წარსული ცხოვრებაა აწერილი, მეორეს — ქრისტიანობის პირველი ხანა.

როგორც თვით პოლონეთში, აგრეთვე პოლონეთს გარეთაც ყველაზედ მეტად სახელი სენკევიჩს პირველმა რომანებმა გაუთქვეს, იმათ, რომლებშიაც პოლონელთა წარსული ცხოვრებაა აწერილი, მაგრამ ამავე დროს კრიტიკოსნი სენკევიჩის ნაწარმოებთა შორის ყველაზედ ნაკლებ სწორედ ამ რომანებს აფასებენ, და ასეც უნდა იყოს. საერთო ტენდენცია სენკევიჩის ისტორიულ რომანებისა ნაციონალისტურია, ეროვნული. ამ რომანებში დაუსრულებელი ქება დიდებაა პოლონელების მამა-პაპათა, აწერილია, მართალია, მეტად მხატვრულად, ამ მამა-პაპათა ვაჟკაცობა, თავ-გამოდება საერთო საქმისათვის, სამშობლოსათვის. პოლონელები გმირნი არიან ყოველის მხრით, ფიზიკური ძალაც-კი არა ჩვეულებრივი აქვთ, ყველა მათგანი ერთის დაკვრით მტერს შუაზედ აპობს, სქელს ნალს ორად სტეხს, სხვანი-კი, ვისთანაც პოლონელებს საქმე აქვთ, უფრო სუსტნი, უძლურნი და ულონონი არიან. ამას გარდა ავტორი ბრძოლა-ომების აღწერას გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევს, ვიდრე სოციალურ ვითარებას. იგი სავსებით ვერ გვიხსნის ომებისა და ხალხთა შეტაკების გამომწვევ მიზეზებს. მაგრამ ყველა ამისდა მიუხედავად, სენკევიჩის ისტორიულ რომანებს მაინც მრავალი ღირსება აქვთ. რომანებში გადმოცემული ამბები ისტორიულ წყაროებს ეთანხმება, ფაქტიურ შეცდომას ვერც ერთგან ვერ შეჰხვდებით. ესეც არ იყოს, სენკევიჩს სულ სხვა აზრი ჰქონდა, როდესაც ამ რომანებს ადგენდა. აი რასა სწერს ერთის რუსულის ჟურნალის კრიტიკოსი: „თავისის ისტორიულ რომანებით სენკევიჩს უნდოდა გაემხნევებინა, სიცოცხლე შთაებერა ღონე მილეულ, სულით დაცემულ საზოგადოებისათვის, რომელსაც მეტად ძნელი ხანა დაუდგა. მწერალმა განგებ ამოარჩია თავისის ხალხის წარსულიდგან ისეთი დრო, როდესაც პოლონეთს გარედგან უთვალავი მტერი ესხმოდა თავს, ხოლო შიგნით უთანხმოება ხელს უწყობდა სახელმწიფოს საძირკვლის გამონგრევას. შეგვიძლიან არ დავეთანხმოთ ავტორის ისტორიულ თვალთა ხედვის ისარს, არ მოვიწონოთ იმისი საშვალებანი ისტორიის გამოკვლევისა, გავკიცხოთ გადაჭარბებული ტენდენციოზობა, მაგრამ უსამართლობა იქმნება თვალი ავარიდოთ დიდის მხატვრობით დაწერილ და მარგალიტებივით გაფანტულ სურათებს, ხოლო მთლად ეს რომანები ერთ შესანიშნავ ეპოპეიად არ ჩავთვალოთ".

მართლაცა და რომანები სავსეა საუცხოვო სურათებით, აწერილობებით, მშვენივრად და სავსებით შექმნილის ტიპებით. ასეთის სურათების აღწერა და ტიპების დახატვა მხოლოდ ისეთ ძლიერსა და ხელოვან მხატვარს შეეძლო, როგორიც სენკევიჩია. საკმაო გავიხსენოთ პან ზაგლობა, ეს გაიძვერა მასხარა, პოლონელთა ფალსტაფი, რომ სენკევიჩის ისტორიული რომანები საუკეთესო ნაწარმოებად ჩავთვალოთ.

ის რომანები და მოთხრობები, რომლებშიაც აწერილია ქრისტიანობის პირველი ხანა, ბევრად მაღლა სდგას მხატვრობის მხრივ პატრიოტულ რომანებზედ. შესანიშნავია განსაკუთრებით „Quo vadis?" სენკევიჩს ყოველთვის აინტერესებდა კაცობრიობის უძველესი ხანა, უფრო-კი ის ისტორიული მომენტი, როდესაც გაჩნდა ქრისტეს ახალი სარწმუნოება და როდესაც ეს სარწმუნოება ძველს, დახავსებულ ცხოვრებას შეებრძოლა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწავლებლის დაარსება, გზების გაკეთება და სხვა მრავალი საჭიროებანი მეტ გულ შემატკივარს ელის, რომ საზოგადოებას დროზედ ეშველოს რამე.

*** რედაქციამ მიიღო მე 8 № ფრანგულის ჟურნალის „Le Caucase illustré“ შინაარსით: 1) სურათი შემხედ სომხის ქალისა, 2) „სპარსული აბანოები ტფილისში 1858 წ.“ ალექსანდრე დიუმასი, 3) „La dispute“ („споръ“) ლექსი ლერმონტოვიდგან, ალექსანდრე დიუმასი, 4) „თამარ მეფე“ (ისტორიული ცნობანი), 5) „შოთა რუსთაველი (სურათითა და მოკლე ისტორიულის ცნობებით), 6) „ქართული სოფლური საჭმელები“ დიუ-ბუადე-მონტპეროსი, 7) ქართლელის და იმერლის ტიპი, 8) „სომხური ზღაპარი“ (გაგრძელება), 9) კავკასიური ტიპები, 10) ასტრახანიდგან ბაქომდე კასპიის ზღვაზედ, 11) მიმდინარეობა არაქსისა და 12) ქართული მოსწრებული სიტყვები, თარგმანი ა. მირიანაშვილისა, და მე-9 № იმავე ჟურნალისა შემდეგის შინაარსით: ქართველის ბატონიშვილის მეუღლე თამარი (სურათი), 2) ლაზები და გურულები (სურათებით), 3) „ოდესიდგან ბათუმამდე — შავს ზღვაზედ“), 4) კავკასიური ტიპები (სურათები), 5) სომხური ზღაპარი (დასასრული), 6) ქართველი პოეტები: აკაკი, 7) ქართული ზღაპარი — საბა სულხან ორბელიანიდგან, 8) სეკკლესიო ჩუქურთმა კავკასიაში, 9) სეკკლესიო ოქრომჭედლობა კავკასიაში (ნიმუშებით), 10) კავკასიური სამზვარეულო (ქართული საჭმელების აღწერა) და 11) ქართველი არტისტები: „ბ. ყიფიანი და კ. მესხი“ (სურათებით).

*** ხუთშაბათს, 21 დეკემბერს, პოლიციის მე-5 ნაწილში ოქოევის ქუჩაზედ, სახლი № 23, თელავის მაზრის სოფელ ვანთოს მცხოვრებს გლეხს ლევან ივანესძეს ლამურაშვილს, მთვრალს, მოსვლია ჩხუბი ქვრივ სალომე ოთარის ასულს ფურცელაძესთან, რომელიც ხანჯლით დაუჭრია მძიმედ მუცელში. მიხეილის სამკურნალოში ექიმების შემოწმებით ფურცელაძის ჰრილობა ისეთ საშიში აღმოჩენილა, რომ მისი მორჩენა საეჭვოა. დამნაშავე ლამურაშვილი უკვე დააპატიმრეს და პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

## თეატრი მატიანე

(კ. შათირიშვილის ბენეფისი)

„კარდინალი რიშელიე“ თარგმანი ვ. ალექსი-მესხიშვილისა.

რომელსამე მაყურებელს ა. შათირიშვილი გუშინ წინ პირველად რომ ენახა სცენაზედ კავალერ-დე მოპრას როლში, აუცილებლად იტყოდა: ამისთანა მსახიობს ბენეფისი როგორ მისცესო? მაგრამ ვინც შათირიშვილს, როგორც მსახიობს, კარგად იცნობს, ის არ დაეთანხმება ამ გვარ აზრს. ჩვენის სცენის ახალგაზდა მსახიობთა შორის ბ-ნი შათირიშვილი ერთი ურიგიანესთაგანია, მას ყოველთვის ეტყობა იმ როლის დაკვირვება, რომლის აღსრულებაც მისთვის მ უნდვიათ, მუყაითად შესწავლა ამა როლისა, შეგნება და სათანადოდ გარდმოცემა; მაგრამ ყველა ეს თვისება უძლურია მაშინ, როდესაც თვით როლი არ შეესაბამება მსახიობის ბუნებას. ბ-ნი შათირიშვილი ხელოვნურად გადმოგვცემს ხოლმე ფატებისა და გონებით სუსტ ადამიანის ბუნებას. ამგვარ როლებში მსახიობი თავისუფლადა ჰგრძნობს თავისს თავსა და მის თამაშობას ყოველთვის ბუნებრიობის ელფერი ეტყობა ხოლმე. სულ სხვაა, როდესაც იგი მხნესა, მამაცსა და ცხოველის გონებით აღბეჭდილ ადამიანს გვიპიროვნებს სცენაზედ, მის სულის კვეთებას აღგვინიშნავს. ამისთანა შემთხვევებში მსახიობის საზოგადოდ მოძრავი სახე ეურჩება მის პატრონის სურვილს და, თუ მოაძრაობს, ისიც იმგვარად, რომ სიცილი მოსდის მაყურებელს; მსახიობიც თითქოს ჰგრძნობს ამ უილაჯობასა და გაახშირებს ხოლმე ხელების ქნევას და უაზროდ ტორტმანსა და რბენას სცენაზედ.

სწორედ ასეთს ყოფაში იყო ბ-ნი შათირიშვილი თავისს საბენეფისო წარმოდგენაში. როდესაც იგი კავალერ დე-მოპრას როლს ასრულებდა.

ამის გამო გვიკვირს, რამ აიძულა, რომ თვისდა შეუფერებელ როლში გამოვიდა ამ მისთვის სადღესასწაული დღეს? „რასაკვირველია, იმისთვისო, იფიქრებს მკითხველი, — რომ ვლ. მესხიშვილის მონაწილეობას დიდ-ძალი ხალხი მიეზიდაო“. ჩვენც ასე ვფიქრობთ, მაგრამ ხომ შესაძლებელი იყო ისეთი პიესა აერჩია, რომელშიაც ვლ. მესხიშვილსაც ჰქონოდა შესაფერი როლი და შათირიშვილსაც .. მაშინ არც მწვადი დაიწვოდა და არც შამფური...

ეს მით უფრო შესაფერისი იქნებოდა, რომ ჩვენს, სამკაულებითა და სცენის მოწყობილობით ღარიბ, სცენაზედ „კარდინალ რიშელიე“-სთანა პიესების წარმოდგენა მეტად საძნელოა, მით უფრო, რომ „კარდინალი რიშელიე“ არ წარმოადგენს განსაკუთრებულს მხატვრულს ნაწარმოებს, იგი გვიხატავს მხოლოდ ერთ-ერთ შეთქმულებას ამ ყოვლად ძლიერის როგორც გარემოებით, აგრეთვე ნიჭითა და გონებით, კარდინალის წინააღმდეგ და იმ ხრიკებს, რომლის შემწეობითაც კარდინალი თავს იხსნის განსაცდელისაგან და გამარჯვებული რჩება! ამ პიესაში ბევრი რამ არის ეპიზოდიური და ამის გამო დრამის ხლართი სისწვრივად არ არის გაბმული. ეს-კია, რომ კარდინალის დიდბუნებოვანობა საკმარად არის აღბეჭდილი, თუმცა კი ისტორიით იგი უფრო გულ-ქვად არის ცნობილი.

მაგრამ რაც ავტორის კალამმა დააკლო „კარდინალის“ ნამდვილ სურათს, ის შეავსო ვლ. მესხიშვილის ნიჭმა. ერთგვარ ვნებათაგან მეორეზედ გადასვლ გადმოსვლა, იუმორი და ლირიზმი, მრისხანება და ღმობიერება, — ყველა ეს თვისება ხვედრია ყოველ რიშელიესთანა დიდბუნებოვანის ადამიანისა და უნდა გენახათ, რა გვარის ზომიერებით იყო დასურათებული ამ მსახიობისაგან. იყო წამები, როდესაც კარდინალს თითქოს ნიადაგი ეცლებოდა ფეხთ-ქვეშ, ის იყო უნდა ჩამოვარდეს იმ სიმაღლიდგან, რომელზედაც აიყვანა მისმა გენიოსობამ (და არა მართლმსაჯულებამ, როგორც იგი ამბობს), მაგრამ საკმარისი იყო მცირეოდენი ხელჩასაჭიდი საგანი, რომ იგი, სულ ხორცით განახლებული, მრისხანე მეხად მოვლინებოდა თავისს მტერთ. აღვნიშნავთ, სხვათა შორის, მეხუთე სურათის იმ სცენას, რომელშიაც დე-მოპრა მიიწევს კარდინალზედ მახვილ-ამოწვდილი. მაყურებელს ჰგონია, ეს არის კარდინალის სიცოცხლის წუთები დათვლილიაო, მაგრამ კარდინალი მესხიშვილი მოიკრეფს კვლავ მთელ თავისს ზნეობრივ ძალ-ღონეს და ცეცხლის მფრქვევ სიტყვის ზედ-მოვლენით თავის ფეხთა წინაშე დაამხობს ამ გამხეცებულ ადამიანს.

სათითაოდ რომ ჩამოვთვალოთ ყოველი საგულისხმო ადგილი არტისტის თამაშობისა, წერილი მეტად გაგვიგრძელდებოდა; ამის გამო ზევით ნათქვამს კიდევ იმას დაუმატებთ, რომ ვლ. მესხიშვილს გრიმი და სამკაული ყოვლად შეფერებული ჰქონდა. მხოლოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ცოტა როლის ცოდნა აკლდა, რის გამოც ის სცენა, როდესაც კარდინალი, თვის ლექსებით გაოცებული, ყურადღებას არ აქცევს მის წინაშე დაჩოქილ იულიასა დადე-მორპსა — უფერული გამოვიდა.

რა ვთქვათ დანარჩენ მსახიობების შესახებ? და განა რა ითქმის ახალი? ქ-ნს კარგარეთელისას არ ძალ-უძს გადმოგვცეს სულის-კვეთება შეყვარებულის ქალის მგზნებარე არსებისა და გაწბილებული ადამიანის ტანჯვა ვაება?! იგივე ხელების უსაგნოდ ქნევა მარჯვნივ თუ მარცხნივ, იგივ მნიშვნელობის მიუცემლად თქმა სიტყვებისა, იგივ არა ქართული კილო ლაპარაკისა და არარის გამომეტყველი სახის მოძრაობა. ასეთის ღირსებით, რაღა თქმა უნდა, არტისტი ქალი ვერ დასძლევდა თავისს როლს.

ინ-ზენ

(დასასრული იქმნება)

## უცხოეთი

### ინგლის-ტრანსვაალის ომი.

ბურების შესევამ კაპის ახალშენი თითქმის რომ მთლად ფეხზედ დააყენა. როგორც „Daily Mail“-ს კაპშტადტიდგან ატყობინებენ, ბანკს „Standard“-ს თავისი განყოფილება სერესში ისევ გაუღია. მაგრამ ოქრო მაინც მთლად კაპშტადტში აქვთ შენახული. ბანკის დანარჩენ განყოფილებების საქმეც ასეთსავე მდგომარეობაშია, ზოგიერთს მათგანს ამ ჟამად ცენტრალურ გამგეობასთან არც-კი რამ დამოკიდებულება თურმე არა აქვს იმ შიშით, რომ ბურებმა ზიანი რამ არ მისცენ. ამ მაგალითიდგანაც საკმაოდ კარგადა მტკიცდება, თუ ბურების შესევას ინგლისელები რამდენად შეუშინებია. დე-აარის მიდამოებში კი ბურების რიცხვი დღითი დღე მატულობს: ქალაქიდგან სხვა-და სხვა მხარეს მიმავალს ტელეგრაფს ჰშლიან, რკინის გზის ლიანდაგს აქცევენ და სხ. ჯერ კიდევ გარდაწყვეტილად გამორკვეული არ არის ახალშენის მცხოვრებნი რამდენად მხარს უჭერენ; მაგრამ თანაგრძნობა ერთობ დიდი უნდა იყვეს, რადგანაც სულ მცირე ხნის განმავლობაში ბურებმა აუარებელი პატარა ურმები იშოვნეს, რაიცა მათს სწრაფად მოძრაობას ხელს დიდად უწყობს. როგორც აღმოჩნდა, შორეულ ადგილების ოფიციალურს კორპორაციებს ორის თვის განმავლობაში დიდ ძალი სანადმე წამალი დაუმზადებიათ, ვითომდა სხვა-და სხვა სამუშაოთათვის. ახალშენის მთავრობას უნდა როგორმე უკანვე დაიბრუნოს ეს წამალი, როგორც წინად იარაღი და სხვა სამხედრო სურსათი დაიბრუნა, მაგრამ რამდენად შეასრულებს ამ თვისს განზრახვას, ეს ძნელი სათქმელია. რაც-კი რამ კაპშტადტის მახლობლად მაღაზიებში იარაღი მოიპოვებოდა, ინგლისელებმა სულ მთავარს თოფხანაში გადაიტანეს.

— ბურების გამბედაობასა და ვაჟკაცობას მარტო ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ თითონ პრეტორიასა და იოჰანნესბურგს შუაც კი ბურები ინგლისელებს მოსვენებას არ აძლევენ. იოჰანნესბურგის მიდამოებში ბურების რამდენიმე რაზმი სდგას.

— ბრიუსელის გაზეთები იუწყებიან, რომ მშვიდობიანობის მომხრე ინგლისელმა პუბლიცისტმა უილიამ სტედმა კრიუგერსა და საპარლამენტო სალხბე-

„Quo vadis?“-ში სენკევიჩს სწორედ ეს ბრძოლა აქვს აწერილი ქრისტიანობისა ძველს კერპთ თაყვანის-მცემლობასთან. ორი ძლიერი სურათია ამ რომანში დახატული: დაცემა უკვე დაუძლურებულ კერპთ თაყვანის-მცემლობისა და აღყვავება ახლად აღმოცენებულ ქრისტიანობისა. ქრისტიანენი ერთის აზრით არიან გატაცებულნი, ერთს საგანს ელტვიან, ამიტომ მათ ცხოვრების გზა გარკვეული აქვთ, კარგად იციან, რას ემსახურებიან და რისთვის სწირავენ თავს. კერძო ინტერესები, პიროვნული სიხარული და ბედნიერება ამათთვის არ არსებობს. კერპთ თაყვანის-მცემელთა შორის-კი განკერძოვებასა და განცალკევებასა ვხედავთ, მათი შემაკავშირებელი და შემაერთებელი არაფერია, ყველა თავისთვისა და თავისს კერძო ცხოვრების მოწყობისათვას სცდილობს მხოლოდ, რასაკვირველია, გამარჯვება ერთის აზრით გამსჭვალულთ, საერთო საქმის მსახურთა რჩებათ. საუცხოვოდ და თითქმის უნაკლულოდ აქვს აწერილი სენკევიჩს კლასიკური ქვეყანა, გმირები კერპთ თაყვანის-მცემელთაგან.

საზოგადოებრივ და ფსიხოლოგიურ რომანებში სენკევიჩი გვაცნობს პოლონელთა აწინდელ ცხოვრებას. ეს რომანები და მოთხრობები სურათების ერთ დაუსრულებელ გალერეას წარმოადგენენ. ავტორს ამ რომანებში ყველა წოდებისა, წრისა და კლასის წარმომადგენელნი ჰყავს გამოყვანილი, ამასთან მწერალი საოცარ უნარსა და ცოდნას იჩენს კაცის სულიერ ცხოვრების გაგების და აღწერისას: ამ რომანებში სენკევიჩი უმთავრესად ფსიხოლოგია.

აღტაცებით მიეგებნენ მთელის ევროპის კრიტიკოსნი რომანს „ბეზ დოგმატუ“. უმთავრესი გმირი რომანისა — პლოშოვსკი, კრიტიკოსების აზრით, მსოფლიო ტიპს წარმოადგენს, ტიპს ახალ დროის ჰამლეტისას. პლოშოვსკი დიდად განვითარებული, მაგრამ ამასთან საკუთარ ნებას, მოქმედების ძალ-ღონეს მოკლებული კაცია. უკმაყოფილება გულსა და სულს უღრღნის ამ კაცსა და საკუთარ არსების ჩხრეკა-კვლევის, ანალიზის გზაზედ აყენებს. ჰამლეტივით ეს კაცი მხოლოდ გულსა და სულში იყურება და არარაობის მეტს იქ ვერაფერსა ჰხედავს. ბოლოს ეს უკმაყოფილება თვითმკვლელობით თავდება.

ძნელია ამ პატარა ფელეტონში ყველა იმ ტიპების აღნუსხვა და ჩამოთვლა, რომელნიც ავტორმა ურიცხვ რომანებსა და მოთხრობებში დაგვისურათხატა. ვტყვით მხოლოდ, რომ თუმცა რომანებში მრავალ ასეთ უბედურ ტიპსა და სურათს შევხვდებით, მაგრამ თვით სენკევიჩს ჰსწამს ცხოვრების განახლება, სჯერა, რომ ყველა ეს მხოლოდ წარმავალია და საზოგადოებას, მთლად კაცობრიობას მომავალში ბედნიერი ცხოვრება მოელის. ავტორი სრულიადაც არ ექცევა პესიმიზმს, იგი აღნიშნავს მხოლოდ დღევანდელ დაქვეითებას, უბედობას.

ასეთია პოლონელთა ეს შესანიშნავი მწერალი. იგი ერთნაირად აწ ცვიფრებს და აკვირვებს მკითხველს როგორც თავისის ძლიერის იუმორით, ისე ღრმა ტრაგიზმითა და მწვავე სარკაზმით. საოცარის მხატვრობით აღგვიწერს სენკევიჩი როგორც პოლონეთის ბუნებას, ისე აფრიკის მზისაგან გადამწვარ უდაბნოებს და ამერიკის თვალ-გადუწვდენელ მინდვრებსა და ტყეებს. ყველა ამის შემდეგ გასაკვირველი არ არის, რომ პოლონელნი აღმერთებენ რომანისტს. სენკევიჩმა სახელი გაუთქვა თავისს სამშობლოს, მთელის ქვეყნის ყურადღება მიაქცია იმის ლიტერატურისაკენ. ევროპა რამდენადმე წინადაც იცნობდა პოლონეთს, იცნობდა ამ ქვეყნის ზოგიერთ მამულიშვილს, როგორც, მაგალითად, პოეტს მიცკევიჩს, მემუსიკეს შოპენს და სხვათ, მაგრამ არ იცოდა თვით ხალხის ყოფა-ცხოვრება, იმისი სიხარული, ჭირი და ვარამი; სენკევიჩმა ყველა ეს თვალ-წინ გადაუშალა ქვეყანას და პოეტურის სურათებით დაანახვა. სენკევიჩის შემდეგ დიდი ყურადღება მიაქციეს პოლონიის ლიტერატურას, ეხლა პოლონურიდგან სთარგმნიან პრუსის, ორჟეჩკოს და სხვა მწერალთა თხზულებებსაც.

კიდეც ამიტომ გარდაიქცა საერო დღესასწაულად საყვარელ მწერლის იუბილეი. მთელმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა ამ დღესასწაულში. დანიშნულ დღეს, ე. ი. 9 დეკემბერს, უპირველესს ყოვლისა ვარშავის კათოლიკეთა საკრებულო ტაძარში გარდახდილ იქმნა პარაკლისი პოლონიის უმაღლეს სამღვდელოებისა და უპირველესს მომღერალთა მონაწილეობით. შემდეგ ქალაქის თვით მმართველობის დარბაზში დღესასწაულის გამმართველ კომიტეტის თავმჯდომარემ, ეპისკოპოსმა კ. რუშკევიჩმა, გადასცა იუბილიარს საჩუქრის ქაღალდი. ხელის-მოწერით კომიტეტმა 70,000 მანეთი მოჰკრიბა, ამ ფულით მშვენიერი მამული იყიდა და ხალხის სახელით მიართვა რომანისტს. მრავალ სიტყვების შემდეგ იუბილიარის წინაშე წარსდგნენ დეპუტაციები და სხვა და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი. პირველად გადასცა ადრესი ქალაქ კრაკოვის დეპუტაციამ, შემდეგ კრაკოვის უნივერსიტეტის დეპუტაციამ, რომელსაც შეადგენდნენ რექტორი და პროფესორები: გრაფი ს. ტარნოვსკი და ბ-ნი გორავსკი. ამათ სხვა დეპუტაციები მოჰყვნენ. დეპეშები თითქმის ევროპისა და ამერიკის ყველა კუთხიდგან მიიღო იუბილიარმა.

საღამოზედ დიდს თეატრში საიუბილეო წარმოდგენა იქმნა გამართული. მთელი თეატრი „ვაშას“ ძახილით მიეგება სენკევიჩს, როდესაც იგი თავისის ქალითა და ვაჟით ლოჟაში შევიდა. დიდი აღტაცება გამოიწვია დრამატიულ არტისტის ნოვიცკის მიერ წარმოთქმულმა კანტატის სიტყვებმა: „დიდ, უწყოდეს მთელმა ქვეყანამ, რომ შენ ჩვენი ჰენიოსი, ჩვენი ძმა ხარო“.

ი. ა—ძე

რალო დასს შუა შუამდგომლობა იკისრა, რომ ინგლის-ტრანსვაალის ომი მალე როგორმე დასრულდესო.

ტრანსვაალის წარმომადგენელს მართველობას ბრიუსელიდგან გააგაში თურმე უპირებენ გადატანას, რადგანაც ბელგიის მთავრობას არა ჰსურს ინგლისს რაიმე უკმაყოფილება ან ეჭვი აადებინოს.

— ბურების გენერალმა ბოტამ დელაგოას რკინის გზიდგან ყველა მსხურნი ტყვეთ წაიყვანა და 40 ორთქლმავალი და 200 ვაგონი წაართვა.

— რომფორმა ევროპის ყველა ცნობილ გაზეთების რედაქტორებს წინადადება გაუგზავნა, რომ ბურების სასარგებლოდ საყოველთაო მსოფლიო ხელის მოწერა გაიმართოს.

**საფრანგეთი.** „Neue Freie Presse“ში დაბეჭდილია წერილი ადოლფ ბრისსონისა, რომელიც საზოგადოდ ვალდეკ-რუსსოს ახასიათებს. ვალდეკ რუსსოს ორატორულ ნიჭის შესახებ აი რას ამბობს იგი:

„ვალდეკ რუსსო ნამდვილი სარდალია მისი აზრი რაზმია, რომელსაც შესანიშნავად მწყობრად არიგებს და გარკვეულის გეგმით ამოქმედებს. იგი პირდა-პირ-კი არ შეაჯახებს მტერს, არა, მხოლოდ გარს ახვევს, შეუმჩნევლადა ჰბოჭავს. ვალდეკის ხელოვნებას შეადგენს ის, რომ იგი უურის-მგდებელს არწმუნებს, რომ ორნივ მართალნი არიან. ამ რიგად იგი არასოდეს არა ჰქლეჯავს, მუდამ წყნარადა და მშვიდად მიიწევს წინ და ერთსა და იმავე კი დროს ადგია. მისი სიტყვები წყალივით მომდინარებენ, ვნებას არავითარს ადგილს არ უთმობს. იგი ნათელი და მტკიცეა, ვით ბროლის ლიპი. სიტყვა ტკბილი, მიმზიდველი აქვს. იშვიათად დაცინვასაც მიჰმართავს ხოლმე, მაგრამ ვით ჭეშმარიტი ხელოვანი ფრთხილად და ზომიერადა ჰხმარობს ამ საშუალებას. იგი შეუმჩნევლად ჰკმირავს. ხან ქარბაისლურად, ხან-კი ოდნავის დაცინვით იგი სიტყვას ხელოვნურად არ ალამაზებს. მხოლოდ აზრისა ძალით იმარჯვებს იგი. იგი არწმუნებს უურის-მგდებელს, მაგრამ აღტაცებით-კი არა“.

სწორედ რომ იშვიათი თვისებაა საზოგადო მოღვაწისათვის.

## ახალი წიგნი

რედაქციამ მიიღო მარი ბროსსეს „საქართველოს ისტორია“ ნაწილი მეორე, მეფეთა და მთავართა გენეალოგიით და ქრონოლოგიით, ნათარგმნი და განმარტებული სიმონ ღოღობერიძისაგან, ხოლო გამოცემული ნიკოლოზ ღოღობერიძის მიერ. წიგნის თავში შემდეგი შენიშვნაა გამომცემლისა:

„ეს წიგნი შეადგენს მეორე და უკანასკნელს ნაწილს საქართველოს ისტორიისას, რომლის პირველი ნაწილი მე გამოვეცი 1895 წელს. ეს ისტორია შედგენილი იყო, როგორც პირველ ნაწილის წინასიტყვაობაში მოხსენებულია, რუსულს ენაზედ ცნობილ აკადემიკოსის მარი ბროსსესაგან. იგი რუსულს ენაზედ აქამდის არ დაბეჭდილა. მეორე ნაწილი მოგვითხრობს ისტორიას საქართველოს სამეფოებად და სამთავროებად დაყოფიდან ერეკლე II გამეფებამდის (1469—1744 წლ.). როგორც პირველი ნაწილი ამ ისტორიისა, ისე მეორე გადმოთარგმნილია ხელნაწერიდამ სიმონ ღოღობერიძის მიერ, რომელსაც ეკუთვნის აგრეთვე შენიშვნები და განმარტებანი. შთამომავლობითი სიები მეფეთა და მთავართა, მეორე ნაწილში დართული, შეადგინა ბ-ნ ექვთიმე თაყაიშვილმა, რომელსაც ამისათვის დიდს მადლობას ვუძღვნი.—“.

წიგნი საუცხოვო ქართული ენით არის ნათარგმნი, 236 გვერდს შეიცავს და ჰღირს 70 კაპეიკად.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 დეკემბერი

**კაპშტადტი.** ბურებმა ეგერსფონტენი ხელახლად დაიჭირეს.

**კარნარვონი.** გერცოგისა, ვესელსისა, პრეტორიუსისა და ნეივენგსუტის უფროსობით ბურები ფრაზერბურგისაკენ მიდიან. როგორც იუწყებიან, ბურები ამ ჟამად სპიონსბერგთან თურმე არიან. ძარცვა-რბევა არ შეწყვეტილა. ფრაზერბურგთან მიწერ-მოწერა და მისვლა-მოსვლა შეწყვეტილია. პოლკოვნიკი დელელი და ტარნიკროფტი მტერს სდევნიან ისევ, მაგრამ ცხენები და ჯორები ძლიერ დაღლილები ჰყავთ.

**კაპშტადტი.** კაპის ახალშენში საქმეთა მდგომარეობა ძლიერ სამწუხაროა. მართალია ჰოლლანდიელი მცხოვრებნი ჯერ არ აჯაყებულან, მაგრამ ახალშენში გადასულს ბურებს დიდს დახმარებას უჩენენ. აუცილებლივ საჭიროა ინგლისიდგან საკმაო ჯარი მოგვაშველონ. ბურების მოწინავე ჯარი მარეისკბურგის მახლობლად სდგას ახალშენის აღმოსავლეთს ნაწილში, კრადოკიდგან 25 მილის მანძილზედ.

**პეკინი.** გენარალის ბალიუს ექსპედიცია, რომელიც სიიტინფუში წავიდა პოლკოვნიკის გიუილიის მისაშველებლად, უკვე დასრულდა ჩინელები უომრად გაიქცნენ.

**ლონდონი.** ინგლისის ბანკმა სარგებელს 4%, 5%-მდე აუწია.

22 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** შავი ჭირის წინააღმდეგ მებრძოლ კომისიისაგან. ასტრახნის გუბერნიის, ცარევსკის მაზრის სოფ. ვლადიმიროვკაში გლეხის ტეტერიატნიკოვის ოჯახში 4 ნოემბრიდგან ოჯახში 2 დეკემბრამდე 9 სული ადამიანი გარდაიცვალა. პირველად მკურნალებს სახადი ეგონათ, მაგრამ, როდესაც 8 დეკემბერს იმავე ოჯახში ხელში ხელახლად ავად გახდნენ, ეჭვი აიღეს— ვაი-თუ ვტყუვდებითო და ასტრახნის გუბერნატორს მიჰმართეს. ვლადიმიროვკაში დაუყოვნებლივ სპეციალისტი ბაქტერიოლოგოსი პროფესორი ზაბოლოტნი იქმნა გაგზავნილი და სენის წინააღმდეგ საბრძოლად გუბერნატორსაც საჭირო თანხა გაეგზავნა. სენის დაწყებიდგან დღემდის სულ 19 სული გამხდარა ავად, რომელთაგანაც 15 უკვე მომკვდარა; ამ ჟამად ვლადიმიროვკაში 4-ღაა ავად და 12 საეჭვოდ არის, რადგანაც ავადმყოფებს უვლიდნენ. ყველა ამათ თვალყურს ადევნებენ და განსაკუთრებულს შენობაში ჰყავთ.

**კაპშტადტი.** ბრიტანიის ჯარი ეგერსფონტეინიდგანა და ფორესმიტ დგან აიყარა., რადგანაც აზრადა აქვთ შეერთდნენ. ამ ადგილებში მცხოვრებნი ბრიტანელნი ედენბურგის მახლობლად სამხედრო ბანაკსა და როადის სადგურში გადაიყვანეს. ფრაზენბურგში გაგზავნილი დიდძალი ყუთები წარწერით „შეკუმშული (შედედებული) რძე ფრაზენბურგსა და როადში დაიჭირეს; ყუთებში აღმოჩნდა: 3,000 სროლა ტყვიაწამალი, 500 მასრა და 150 გირვანქა ნაღმი. ამბობენ, მატესფონტენიდგან 30 მილის მანძილზედ, ჩრდილოეთით, ბრძოლააო.

**ლონდონი.** რობერტსი მოვიდა; ლორდს მიეგებნენ პრინცი უელისა და იორკის ჰერცოგი; ვოკზალზედ მრავალი წარჩინებული კაცი დაუხვდა და მათ შორის კაბინეთის რამდენიმე წევრიც. ბუკინგამის სასახლეში მიმავალს გზაზედ ხალხი რობერტს აღტაცებით ეგებება.

**პეკინი.** ელჩებმა გარდასწყვიტეს სახელმწიფოთა მიერ წარდგენილ მოთხოვნილებათა შესახებ ჩინეთის მთავრობის მიერ დასმულს კითხვებზედ იმ დრომდე პასუხი არ მისცენ, ვიდრე ჩინეთის რწმუნებულნი ამ მოთხოვნილებათ წესისამებრ ხელს არ მოაწერენ. მინამდის-კი ელჩები დაამზადებენ სამახსოვრო წიგნს იმის შესახებ, თუ სასჯელისა ან სხვა კითხვათა შესახებ რა უნდა აქმნეს შესრულებული, რომ აღნიშნულ პირობების სავსებით აღსრულება უზრუნველ ყოფილი იქმნეს. როგორც კი ჩინეთის რწმუნებულნი სახელმწიფოთა საერთო ნოტას ხელს მოაწერენ იმ აზრით, რომ ჩინეთი თანახმაა მიიღოს იგი, ელჩები ოფიციალურად მოსთხოვენ ჯარების უფროსებს, რომ ბრძოლა შესწყვიტონო.

**კაპშტადტი.** ახალშენის სხვა-და-სხვა ჯარები უკვე ღონისძიებას ხმარობენ, რომ, თუ შემთხვევა მოითხოვს, მზად იყვნენ. გრენპოინტიდგანა და რიმონ ტოუნიდგან ტყვეებს გემებზედ უპირებენ გადაყვანას.

**ოდესსა.** გემი „ტამალავა“, რომელსაც საშინელმა ქარიშხალმა უსწრო ზღვაზედა, დღეს საღამოთი მოვიდა. გემზედ მშვიდობიანობაა.

### მადლობის გამოცხადება.

გულითადს მადლობას ვუძღვნი ბ-ნ თევდორე სახოკიას, რომელმაც თავისს მიერ გადმოთარგმნილი წიგნის, „დამონებულნის“ ოცი ცალი შემოსწირა მომავალ ქართველ დედათა სკოლის სასარგებლოდ.

ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე კნ. მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ ორბელიანი,

### წერილი რედაქციის მიმართ

ულრმესს მადლობას მოვახსენებთ, როგორც პირად მე ეგრეთვე ჩემდამი რწმუნებულის ჭიათურის სამრევლო საეკკლესიო სკოლის მოსწავლეები შორაპნის შავი ქვის მწარმოებელთა კრების საბჭოს, რომელმაც კეთილ-ინება და ამ მდგომარე ზამთრისათვის თავისის ხარჯით გამოუწერა და კიდეც მოუვიდა სკოლას ერთი საჟენი შეშა, ღირებული 30 მან., აუშენა სკოლას შეშის საწყობი და ფეხის ადგილი; შემოსწირა სკოლას ორი მაგიდა და ორი მშვენიერი ფანჯარა თავისის მინებით. ამას გარდა სასწავლო ფულის გადასახადისაგან გაანთავისუფლა თორმეტი ღარიბი და ობოლი მოსწავლე, რომელთა სასწავლო გადასახადიც 60 მანეთი უკვე გადმომცეს. წელს ზაფხულს პატივცემულმა საბჭომვე 60 მანეთი სამადნო წყლებზე წასასვლელად მიბოძა და 120 მანეთით შემწეობა აღმომიჩინა.

ჭიათურის სამრევლო-საეკკლესიო სკოლის მასწავლებელი ბესარიონ ვაშაძე

—

გულითადს მადლობას ვუძღვნით როგორც მე, ისე ჩემი მრევლი თავადს ევგენი დავითის ძესა და კნეინა ნინო რევაზის ასულს ქობულიშვილებს, რომელთაც ჩემდამი რწმუნებულს კაზრეთის ღვთის მშობლის მიძინების ეკკლესიას საჭირო შესამოსელი, საეკკლესიო წიგნები, ზარი და სხვა ფრიად საჭირო ნივთები შემოსწირეს, ღირებული სულ 107 მანეთადა და 20 კაპეიკად.

კაზრეთის ღვთის მშობლის მიძინების ეკკლესიის მღვდელი იაკობ ჯანელიძე

—

ქ. ხარკოვის ქართველ სტუდენტთა მონდობილობით უგულითადესს მადლობას ვუცხადებ „კვალის“ რედაქციას, რომელმაც ამ წლის განმავლობაში გაზ. „კვალი“ უსასყიდლოდ გვიგზავნა.

სტ. ს. ჭოლოშვილი

## განცხადებანი

**„წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობის“ გამგეობა ამით აცხადებს**

# პრემიებს

სალიტერატურო ნაწარმოებთა დასაჯილდოვებლად. პირობები შემდეგია: 1) საპრემიოთ წარმოდგენილ ორიგინალურ თხზულებაზედ დანიშნულია ღირსების კვალობაზედ: **150 მან., 100 მან. და 50 მან.;** 2 პრემია შეიძლება მიეცეს ევროპის რომელიმე კლასსიკის თხზულების თარგმანშიაც, ხოლო თუ იგი გადმოღებულია პირდაპირ უცხო ენიდამ. აქაც სამნაირი ჯილდოა: **70 მან., 50 მან. და 20 მან.** ორივე შემთხვევაში (§§ I, II) უფრო სასურველია არა ვრცელი თხზულება.

შენიშვნა. თარგმანები არა პირდაპირ უცხო ენიდგან ან რუსის მწერალთა ნაწარმოებთა შეიძლება მხოლოდ პრემიის მიუცემლად დაჰბეჭდოს ამხანაგობამ თავის ხარჯით.

3) ყოველგვარი სალიტ. ნაწარმოები უნდა გამოეგზავნოს ამხანაგობას (ადრესი: Г. Кутаисъ, Кутаисск. книго-издат. Товарищ.) რაიმე დევიზის ზედ-წარწერით და დაბეჭდილი კონვერტით, სადაც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი. კანვერტი გაიხსნება მხოლოდ მაშინ, როცა წარმოგზავნილი ნაწარმოები ცნობილ იქმნება ჯილდოს ღირსად, 4) ვადა თხზულების გამოგზავნისა არის არა უგვიანეს 1 მარტისა 1902 წ.; 5) დაჯილდოვებულ თხზულების ავტორს პრემიის გარდა შეიძლება მიეცეს კიდევ გონორარი; 6) შედეგები კონკურსისა და აგრეთვე რეცენზია დაჯილდოვებულ თხზულებაზედ გამოცხადდება გაზეთებში; 7) ყოველი საპრემიოთ გამოგზავნილი ნაწარმოები კარგის ქართულის სალიტერატურო ენით უნ და იქმნეს დაწერილი; 8) პრემიები მიეცემა ავტორებს იმ ფულიდგან, რომელიც შემოუვა ამხანაგობას დაჯილდოვებულ წიგნის გასყიდვისაგან.

(10—6—7)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

ამითი აუწყებს იმათ, რომელთაც ქ. ტფილისში ცხენები ჰყავთ, რომ, ქალაქის საბჭოს 13 მარტის ამა წლის დადგენილების თანახმად, ქალაქის სასარგებლოდ ცხენების გარდასახადის დროზედ შემოუტანლობის ჯარიმა მომავალ 1901 წლიდგან გადახდებათ შემოუტან გარდასახადის რაოდენობის 18% და არა 24%-ი. (3)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




**ახალი საშუალება**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გმოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**„კვერცხის რძე“**

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ჭიქა —2 მან; პატარა —1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში— ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში.

ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—211—21)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

**ჰიგიენური**

ბორნო-გლიცერინის საპონი

პ რ ო ვ ი ზ ო რ ი ს

**გ. ფ. იურგენსისა**

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვითელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობები გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. Ю. (48—6—31)